



„ბაზისბანკი“ კლიენტებს სთავაზობს ვალუტების კონვერტაციის ახალ „შიდასაბანკო ბირჟის“ მექანიზმს, რომელიც ითვალისწინებს საკონვერტაციო ოპერაციების ჩატარებას წინასწარი განაცხადის საფუძველზე ბანკში მოქმედ კომერციულ კურსთან შედარებით შეღავათიან პირობებით.

### მექანიზმის მოქმედების პრინციპები:

- ბანკი წინასწარ აგროვებს საკონვერტაციო განაცხადებს და, ბანკთაშორისი ვაჭრობის საფუძველზე, ადგენს ვალუტებს შორის გაცვლით კურსს, რომლის საფუძველზეც ასრულებს მიღებულ საკონვერტაციო დავალებებს.
- საკონვერტაციო განაცხადის შემომტანს (ბანკის კლიენტს) საშუალება აქვს დააფიქსიროს ვალუტის ყიდვის მაქსიმალური და გაყიდვის მინიმალური კურსი (საკურსო ზღვრები), იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ დადგენილი საკონვერტაციო კურსი გასცდება კლიენტის მიერ დადგენილ საკურსო ზღვარს, ბანკი უკავშირდება კლიენტს და სთავაზობს იმ კურსს, რომელითაც მოცემულ მომენტში შეუძლია კლიენტის დავალების შესრულება, კონვერტაცია განხორციელდება კლიენტის დასტურის შემდეგ .
- იმ შემთხვევაში თუ ბანკის მიერ დადგენილი კურსი არ არღვევს კლიენტის მიერ დადგენილ საკურსო ზღვარს, განაცხადი ავტომატურად სრულდება.
- იმ შემთხვევაში, თუ განაცხადში არ იქნება მითითებული საკურსო ზღვრები, კონვერტაცია ავტომატურად შესრულდება ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.
- ბანკი განაცხადების მიღებას ასრულებს 12.30 საათზე, ხოლო კონვერტაციები შესრულდება 13.30 საათამდე.

### შიდასაბანკო ბირჟაზე მონაწილეობის მისაღებად საჭიროა:

- ყოველი დღის 12.30 საათამდე გაკეთდეს განაცხადი ნებისმიერ სერვისცენტრში ან „ბანკი-კლიენტის“ მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადის გაკეთება ვერ მოხერხდა დანიშნულ დრომდე, განაცხადი ავტომატურად გადაინაცვლებს მეორე დღის განაცხადების კალათაში.
- განაცხადის გაკეთების მომენტში განმცხადებლის მიმდინარე ანგარიშზე უნდა იყოს შესაბამისი ნაშთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაცხადი გადავადდება შემდეგი დღისთვის, თუ მეორე დღეს ნაშთი კვლავ არ იქნება საკმარისი, ბანკი განაცხადს გააუქმებს.

**1. განაცხადის გაკეთება სერვისცენტრში:**

- კონვერტაციის განაცხადის შემოსატანად საჭიროა შეივსოს სპეციალური „ვალუტის კონვერტაციის განაცხადის“ ბლანკი, რომელსაც გასცემს კლიენტთა მომსახურების მენეჯერი.
- განაცხადში მითითებული უნდა იყოს: კლიენტის დასახელება, გასაყიდი და შესაძენი ვალუტები და საკონვერტაციო თანხა, ანგარიშის ნომერი, რომელზეც უნდა მოხდეს კონვერტაცია, ყიდვის მაქსიმალური ან გაყიდვის მინიმალური კურსი, საკონტაქტო პირის ტელეფონის ნომერი, რომელზეც ბანკის წარმომადგენლებს შეეძლება დაკავშირება განაცხადის შემომტანთან, იმ შემთხვევაში, თუ საბანკო კურსი გასცდება კლიენტის მიერ დადგენილ ზღვარს.

**2. განაცხადის გაკეთება „ბანკი-კლიენტის“ მეშვეობით:**

- განაცხადის გაკეთება ხდება „ბანკი-კლიენტის“ შეტყობინებით, თავისუფალი ტექსტის ფორმატში.
- განაცხადში მითითებული უნდა იყოს: საკონვერტაციო თანხა და ვალუტა, ყიდვის მაქსიმალური ან გაყიდვის მინიმალური კურსი და საკონტაქტო პირის ნომერი, რომლითაც ბანკის წარმომადგენლებს შეეძლება დაკავშირება განაცხადის შემომტანთან იმ შემთხვევაში, თუ საბანკო კურსი გასცდება კლიენტის მიერ დადგენილ ზღვარს.